ხელშეკრულება № 1

ქ. ამბროლაური 08 თებერვალი 2024 წელი

ერთი მხრივ, ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, (ს/კ 222938490 ქ.ამბროლაური, ბრატისლავა რაჭის ქუჩა N11) წარმოდგენილი მერის ზვიადი მხეიძის სახით (შემდგომში „მერია") და მეორე მხრივ ა(ა)იპ ერთად რეალური ცვლილებებისათვის (სოფ. სადმელში მდებარე რაჭის სარეაბილიტაციო და ინკლუზიური ცენტრი) (ს/კ401981931) წარმომადგენელი გამგეობის თავმჯდომარის ნანა ლომაძის სახით დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე :

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფ. სადმელში მდებარე რაჭის სარეაბილიტაციო და ინკლუზიური ცენტრის თანადაფინანსება 5 000 (ხუთი ათასი) ლარის ფარგლებში. (ბუნებრივი აირის საფასური).

მუხლი 2. თანხის მოცულობა და ანგარიშსწორების წესი

2.1 ორგანიზაციისთვის გამოყოფილი თანხა განისაზღვრება იმავე წლის ამბროლაურის მუნიციპალიტეტის დამტკიცებული ბიუჯეტით, შესაბამისი კოდიდან 5 000 (ხუთი ათასი) ლარით.

2.2 ორგანიზაციისთვის თანხების გადარიცხვა განხორციელდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან და დაფინანსება გაეწევა ამბროლაურის მუნიციპალიტეტში სოფ. სადმელში მდებარე რაჭის სარეაბილიტაციო და ინკლუზიურ ცენტრს შშმ სტატუსის მქონე ბავშვთა/პირთა მომსახურების მიზნით.

2.3 თანხა გაიცემა ა(ა)იპ ერთად რეალური ცვლილებებისათვის მიერ თანხების ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის და მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, ყოველი თვის ბოლოს.

2.4. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორებით.

მუხლი 3. მუნიციპალიტეტის უფლებები და ვალდებულებები

3.1. მუნიციპალიტეტი ვალდებულია:

3.1.1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის დამტკიცებული ბიუჯეტიდან ა(ა)იპ ერთად რეალური ცვლილებებისათვის მიერ, ყოველი თვის ბოლოს თანხების ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციისა და მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურიდან წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, უზრუნველყოს თანხის გადარიცხვა შესაბამისი ორგანიზაციის ანგარიშზე.

3.1.2. მერია იღებს ვალდებულებას ხარჯები აანაზღაუროს 2024 წლის 01 იანვრიდან.

3.1.3 მონიტორინგი გაუწიოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის ხარჯვას.

3.1.3. მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულება.

3.2. უფლება აქვს:

3.2.1 მოსთხოვოს ორგანიზაციას, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიაში უზრუნველყოს ხარჯვის დამადასტურებელი ყველა საჭირო დოკუმენტაციის წარდგენა ყოველთვიურად, ანგარიშის სახით.

3.2.2. კალენდარული წლის ნებისმიერ პერიოდში მოითხოვოს პროგრამის შესრულების შესახებ ანგარიშის წარდგენა 10 სამუშაო დღის ვადაში.

3.2.3. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში, არ გადარიცხოს მომსახურების თანხა ორგანიზაციის ანგარიშზე.

მუხლი 4. ორგანიზაციის უფლებები და ვალდებულებები

4.1 ორგანიზაცია ვალდებულია:

4.1.1 ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიაში ყოველი თვის ბოლოს უზრუნველყოს გაწეული მომსახურების დამადასტურებელი ყველა საჭირო დოკუმენტაციის წარდგენა, ანგარიშის სახით.

4.1.2 მკაცრად დაიცვას შეთანხმებით გათვალისწინებული პირობები და მუნიციპალიტეტის მოთხოვნის შემთხვევაში კალენდარული წლის ნებისმიერ პერიოდში უზრუნველყოს პროგრამის შესრულების შესახებ ანგარიშის 10 სამუშაო დღის ვადში წარდგენა.

4.2. უფლება აქვს:

4.2.1. მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულება.

მუხლი 5 ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტა

5.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2024 წლის 31 ივლისის ჩათვლით.

5.2 ხელშეკრულების შეწყვეტა შეიძლება მოხდეს მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 6 დასკვნითი დებულებები

6.1 წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დანართი ითვლება მის განუყოფელ ნაწილად და განიხილება მასთან ერთად. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაშია მხოლოდ მაშინ, თუ იგი შედგენილია წერილობითი ფორმით და ხელმწერილია მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ.

6.2. თუ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულება ბათილად იქნება მიჩნეული, მიუხედავად ბათილობის საფუძვლისა, ეს არ გამოიწვევს მთლიანი ხელშეკრულების ბათილობას, ამ შემთხვევაში ხელშეკრულების დანარჩენი დებულებები მოქმედებს ბათილი დებულების გარეშე.

6.3. ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორ) თანაბარ იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად რომელიც ინახება ამ ხელშეკრულების მხარეებთან.

მუხლი 7 მხარეთა რეკვიზიტები

პირველი მხარე	**მეორე მხარე**
ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	ა(ა)იპ ერთად რეალური ცვლილებებისათვის
ს/კ 222938490	ს/კ 401981931
GE24NB0330100200165022	GE45TB7755536080100018
----------	----------
ზვიადი მხეიძე	ნანა ლომაძე